სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტების ცნება, კლასიფიკაცია და პროცესუალური ფუნქციები

მიხეილ მამნიაშვილი

სისხლისსამართალწარმოების (პროცესის) მონაწილეები არიან ყველა ის პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სისხლისსამართალწარმოების ურთიერთოებაში და მათ გააჩნიათ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ცნება იგივეა, რაც სისხლისსამართალწარმოების სუბიექტთა ურთიერთობის ცნება.

ადრე გამოცემულ იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს სხვა მოსაზრებებიც. ერთ-ერთი ასეთი შეხედულების თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილე არ მიიჩნეოდა სისხლისსამართალწარმოების ურთიერთობის სუბიექტად, არამედ ასეთებად მოიაზრებოდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმეში გააჩნდათ გარკვეული მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი — საკუთარი (ბრალდებული, ეჭვმიტანილი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე) ან წარმომადგენლობითი (ადვოკატი, დაზარალებულის წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელის და მოპასუხის წარმომადგენლები, არასრულწლოვანი ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი),[1] ზოგი პროცესუალისტი სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებად თვლიდნენ ყველა იმ სუბიექტს, რომლებიც სისხლისსამართალწარმოების პროცესში ახორციელებდნენ საპროცესო ფუნქციებს (სისხლისსამართლებრივი დევნა, დაცვა, საქმის გადაწყვეტა), მიუხედავად იმისა, მათ საქმეში გააჩნდათ თუ არა თავიანთი ინტერესი. ამასთანავე, ავტორებს მიაჩნდათ, რომ მოწმე, ექსპერტი, დამსწრე, თარჯიმანი და ა.შ. არ ითვლებოდნენ საპროცესო საქმიანობის სუბიექტებად, რადგანაც თითქოს ისინი არ ახორციელებდნენ არავითარ საპროცესო ფუნქციებს.[2] ქართველ მეცნიერთა მოსაზრებითაც არ შეიძლებოდა პროცესის მონაწილედ განხილულიყო ყველა ის პირი, ვინც მონაწილეობას ღებულობდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვის დროს. პროცესის მონაწილეთა ასეთი განვრცობითი გაგება ავტორთა შეხედულებით: „არ გამომდინარეობდა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის იურიდიული ბუნებისაგან და არ შეესაბამებოდა პროცესის მონაწილის მდგომარეობას, მიზნებს და ამოცანებს.[3]

არსებობდა ასევე სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ის პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სისხლისსამართალწარმოების პროცესში, საპროცესო საქმიანობის სუბიექტებად მოიაზრებოდნენ,[4] აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 კარში სისხლისსამართალწარმოების მონაწილეთა შორის წარმოდგენილნი არიან არა მხოლოდ ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესები, და არა მხოლოდ ისინი, რომლებიც ასრულებენ ძირითად ფუნქციებს: სისხლისსამართლებრივ დევნას, დაცვას და საქმის გადაწყვეტას (მართლმსაჯულებას), არამედ სხვა ისეთებიც, რომლებიც არ სარგებლობენ ასეთი უფლებებით. ამიტომაც სისხლის სამართლის საქმეზე დაინტერესებული პირი (ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული), ასევე დაუინტერესებელი პირები (ორგანო): სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი და დამსწრე — ყველა მათგანი წარმოდგენილნი არიან სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებად.

სისხლისსამართალწარმოების სუბიექტები თავისი ბუნებით არაერთგვაროვანია. საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შეუძლიათ შეასრულონ განსხვავებული პროცესუალური ფუნქციები, ჰქონდეთ სხვადასხვა უფლებები და მოვალეობები, ე.ი. სარგებლობდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებული სამართლებრივი სტატუსით. ამდენად, სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები არიან სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, ასევე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ გარკვეულ პროცესუალურ ფუნქციებს, სარგებლობენ შესაბამისი სამართლებრივი სტატუსით და სისხლისსამართალწარმოების პროცესში ამყარებენ პროცესუალურ სამართალურთიერთობას.

სისხლისსამართალწარმოების პროცესუალური ფუნქცია არ შეიძლება დაყვანილი იქნეს უბრალოდ რაოდენობრივ უფლებამოსილებად, ამა თუ იმ სუბიექტის უფლებებსა და მოვალეობებამდე, ე.ი. მათ კომპეტენციამდე.

[1] Галкин Б.А. Советский уголовно-процесуальный закон. М., 1962, с. 92

[2] Строгович М. А., Курс советского уголовного процесса , Т. 1, М., 1968. с. 111, 203-204

[3] საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამ. თსუ, თბილისი, 1988, გვ. 84-85; საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ავტ. კოლექტივი ა. ფალიაშვილის რედაქციით, გამ. **„მერიდიანი“, თბილისი, 2002, გვ. 92-93**

[4] Уголовный процесс, под общей редакций А.В. Смирнова, изд. Кнорус, М., 2007, с. 90-92

პროცესის თითოეულ მონაწილეს საპროცესო სამართალურთიერთობის დროს გააჩნია თავისი გარკვეული დანიშნულება და ისინი სისხლისსამართალწარმოების პროცესში ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს (გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო, ბრალდებული, ადვოკატი, მოწმე და აშ.). თავის მხრივ, ეს საქმიანობა წარმოშობს ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც შესაძლებელია ერთმანეთს არ დაემთხვეს და ზოგჯერ დიდად განსხვავდებოდნენ კიდეც ერთმანეთისაგან; პროცესის მონაწილის თითოეული პროცესუალური საქმიანობა, რომლებსაც ისინი ახორციელებენ, ახლოს დგას ერთმანეთთან, ზოგჯერ კი შეიძლება გადაიკვეთოს, მაგრამ სისხლისსამართალწარმოების პროცესის მონაწილეთა საქმიანობა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებენ, მათი უფლებამოსილება საპროცესო კანონმდებლობით მკაცრადაა გამიჯნული და ერმანეთს არ ერწყმის, რადგანაც მათ საფუძველად უდევთ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესუალური ინტერესები, კერძოდ, არ შეიძლება ბრალდების მხარეს დაეკისროს დაცვის ფუნქცია და პირიქით, დაცვის მხარეს დაეკისროს ბრალდების ფუნქცია.[5] ასეთი ინტერესების აღკვეთის დაშვება ერთსა და იმავე პროცესის მონაწილის საქმიანობაში იმას ნიშნავს, რომ სისხლისსამართალწარმოების პროცესის წარმოებისას საშიშროების წინაშე დადგეს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ „ფუნქციის“ ცნების დახმარებით პროცესუალური საქმიანობა ისეთნაირად უნდა იყოს მიმართული, რომ საპროცესო საქმიანობის სუბიექტთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები ერთმანეთს კი არ უნდა უშლიდეს ხელს, არამედ პირიქით, ემსახურებოდნენ და განაპირობებდნენ სისხლის სამართალწარმოების საერთო მიზნებსა და ამოცანებს.

შეჯიბრებითობის პროცესში ჩვეულებრივად მიღებულია გამოყოფილი იქნეს შემდეგი ძირითადი ფუნქციები: ბრალდების (სისხლისსამარლებრივი დევნის), დაცვის, საქმის განხილვის და გადაწყვეტის (მართლმსაჯულების) ფუნქციები. ამასთანავე, იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე საჯარო-შეჯიბრებითობის სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება ცალკე ფუნქციად გამოეყოს კიდევ ერთი — დამხმარე ფუნქცია, რომელსაც შეიძლება მართლმაჯულების განხორციელების ხელშემწყობი ვუწოდოთ (მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი და ა.შ.).[6]

ჩვენი აზრით, ცალკე ფუნქციად უნდა არსებობდეს ასევე გამოძიების ფუნქციაც, რადგანაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გამოძიება არის სისხლის სამართლის პროცესის პირველი დამოუკიდებელი სტადია და გამომძიებლის სტატუსისა და ამ ფუნქციის იგნორირება არაფრით არ არის გამართლებული, მით უმეტეს, რომ ადრეულ წლებში სისხლისსამართალწარმოების პროცესში გამოძიების ფუნქციასაც მყარად ჰქონდა დამკვიდრებული თავისი ადგილი.

პროცესუალური ფუნქციების მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს მასში, რომ ის დგას მართლმსაჯულების განმახორციელებელი ობიექტური და მიუკერძოებელი სასამართლოს დაცვის სადარაჯოზე. თუ კი სასამართლო თავის საქმიანობაში შეეცდება ერთდროულად შეითავსოს ბრალდებულის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები, ის ვერ შეძლებს იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი, მისი საქმიანობის პრიორიტეტი გახდება არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელება, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის მოთხოვნილების რეალიზაციაც, რაც ასევე მართლმსაჯულების მიზანს დაემორჩილება; იმისათვის, რომ მსჯავრი დაედოს პიროვნებას, ჯერ უნდა დადგინდეს და მხილებული იქნეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულები, ეს კი მხოლოდდამხოლოდ ბრალმდებლის პრეროგატივაა, რომელიც ვალდებულია საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით, გამამტყუნებელ მტკიცებულებათა წარდგენის გზით დაარწმუნოს სასამართლო ბრალდებულის ბრალეულობაში და პირიქით, თუ კი სისხლისსამართლებრივი დევნის თანამდებობის პირს მინიჭებული ექნება ერთდროულად სასამართლო უფლებამოსილებაც, ბუნებრივია, მისი საქმიანობა მიმართული იქნება იმისაკენ, რომ ბრალდების ფუნქციის ნაცვლად საქმის გადაწყვეტაც შეითავსოს. აქედან გამომდინარეობს შეჯიბრებითობის გარდუვალობის წესი, რომელიც გამომდინარეობს დამოუკიდებელი სასამართლოს საბაზისო პრინციპიდან — „არავინ არ უნდა იყოს მოსამართლე თავის საკუთარ საქმეში“.

ასევე დაუშვებელია არა მარტო სასამართლო უფლებამოსილების, არამედ ასევე ნებისმიერი სხვა ფუნქციის შეთავსება. ზედმეტია მტკიცება იმ ფაქტისა, რომ არ შეიძლება პირი იყოს ადვოკატი და ამასთან ერთად დაინტერესებული ბრალდებულის ბრალეულობის დადასტურებით; ამასთანავე, აშკარაა, რომ ადვოკატს უფლება არა აქვს სა-

[5] М.В. Григорьев, А.В. Победник, В.Н.Яшин, Уголовный процесс, Учебник, изд. Эскмо, М., 2006, с. 84-85; А.П.Рыжаков, Сергеев А.И. Субъекты уголовного процесса, Тула, 1996, с. 6.

[6] Уголовный процесс, под ред. общей ред. А.В. Смирнова, Иад. Кнорус, М., 2007, с. 90-10

სამართლოში წარადგინოს ბრალდების გამამტყუნებელი მტკიცებულება, მხარი დაუჭიროს საბრალდებო მტკიცებულებებს, თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირი გამოაცხადოს დამნაშავედ, თუ კი ბრალდებული წარდგენილ ბრალდებას უარყოფს.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში შეიძლება გარკვეული გამონაკლისების არსებობაც, როდესაც კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში მოხდეს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გადაკვეთა, მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც პროკურორი ჩატარებული გამოძიების მასალებზე დაყრდნობით მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებივი დევნის შეწყვეტა, ანდა სასამართლო გამოძიების მსვლელობისას პროკურორი დარწმუნდება ბრალდებულის უდანაშაულობაში და უარს იტყვის ბრალდებაზე. ასეთ დროს პროკურორმა იურიდიულად უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები, პირველ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში სასამართლოს პროცესზე თავისი არგუმენტირებული გამოსვლით იმის შესახებ, რომ ბრალდებული უდანაშაულოა და ის უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ასეთ დროს ადგილი აქვს ისეთ სიტუაციას, როდესაც ბრადებულის ინტერესებს უპირატესობა ენიჭება, რადგან ბრალმდებელმა ასეთ დროს შეიძლება დაიკავოს დაცვის პოზიცია, ხოლო ადვოკატმა თავის მხრივ, არც ერთ შემთხვევაში არასოდეს არ უნდა დაიკავოს ბრალდების პოზიცია.

შეჯიბრებითობის საწყისებზე გამოძიების, ბრალდების, დაცვის, საქმის განხილვის და გადაწყვეტის (მართლმსაჯულების) ფუნქციების რეალიზაცია იძლევა შესაძლებლობას მოხდეს მხარეთ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების იზოლირება, რაც, თავის მხრივ, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების საწინდარია. მხარეთა პაექრობა ღია სამართლიან სასამართლო კამათში წარმოადგენს შეჯიბრებითობის პროცესის წინსვლისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროს.

ამდენად, შეგვიძლია მოკლედ ჩამოვაყალიბოთ პროცესუალური ფუნქციის ცნება, რომ ის არის პროცესუალური საქმიანობის ისეთი მიმართულება, რომლებშიც სამართალწარმოების სხვადასხვა სუბიექტები გაერთიანებულნი არიან ცალკეულ ჯგუფებად, განსაზღვრავს მათ სამართლებრივ სტატუსს, ერთნამეთისაგან მიჯნავს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე სუბიექტების პროცესუალურ საქმიანობას და წარმართავს სისხლისსამართალწარმოებას საერთო ამოცანების მისაღწევად. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პროცესუალური საქმიანობის ძირითად მიმართულებას, რომლებშიც გამოხატულია პროცესის მონაწილეთა სპეციალური როლი და დანიშნულება, ეწოდება პროცესუალური ფუნქცია.[7]

პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსი სისხლისსამართალწარმოების პროცესში წარმოადგენს მათი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას, რომლებიც რეგულირებულია საპროცესო კანონმდებლობით და მათი საქმიანობა არ შეიძლება გასცდეს კანონის ჩარჩოებს. მაგალითად, არამართლზომიერია სისხლის სამართლის საქმის დაწყება დაეკისროს სასამართლოს, რადგანაც ეს მოქმედება არ შედის მართლმსაჯულების ფუნქციაში და ა.შ.

რამდენადაც პროცესუალური ფუნქციის ცნება ეყრდნობა პროცესის მონაწილეთა დაყოფას ჯგუფებად, ისეთი არსებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა განსხვავებული პროცესუალური ინტერესები, მიზანშეწონილია თვით ფუნქციის ცნება საფუძვლად დაედოს პროცესის მონაწილეთა კლასიფიკაციას. თუ გავითვალისწინებთ სისხლისსამართალწარმოების პროცესში პროცესუალური ფუნქციების არსებობას: მართლმსაჯულებას, გამოძიებას, ბრალდებას (სისხლისსამართლებრივი დევნა) და დაცვას, მაშინ პროცესის მონაწილეთა კლასიფიკაცია შეჯიბრებითობის პროცესში შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს:

1. სამართალწარმოების სუბიექტები, რომლებიც მართლმსაჯულების ფუნქციას ახორციელებენ, ე.ი. საქმის სასამართლოში განხილვა და გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლსა, ამ ფუნქციას ახორციელებენ სასამართლო ორგანოები, რომლებიც საქმეს არსებითად განიხილავენ; მასში შედის ასევე ზემდგომი ინსტანციის (აპელაცია, კასაცია) სასამართლოები, მათ შორის: კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, და ის მოსამართლეები (მაგისტრის მოსამართლეები), რომლებიც ისეთ პროცესუალურ საკითხებს განიხილავენ, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების უფლების შეზღუდვასთან (ჩხრეკა, ამოღება, დაპატიმრება და ა.შ.); მართლმსაჯულების ფუნქციას ახორციელებენ ასევე ნაფიცი მსაჯულები, თუ კი საქმე მათი მონაწილეობით განიხილება.

2. გამოძიების ფუნქციები. სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს დანაყოფების გამომძიებლები, გამომძიებლები ვალდებულნი არიან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად,

[7] Уголовный процесс, Учебник под ред. А. В. Гриненко, изд. Норма, М., 2009 с. 64-66.

დაიწყონ გამოძიება, ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები, უზრუნველყონ საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.

3. სამართალწარმოების ის მონაწილეები, რომლებიც ბრალდების ფუნქციას ახორციელებენ, ესენია პროკურორი და გამომძიებელი; სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოში.

4. მონაწილეები, რომლებიც ახორციელებენ დაცვის ფუნქციას, ესენია ბრალდებული, მსჯავრმდებელი, გამართლებული და ადვოკატი.

5. პროცესის მონაწილეები, რომლებიც ხელს უწყობენ მარლმსაჯულების განხორციელებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (თავი VI) მათ „სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებად" მოიხსენიებს. აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებენ მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, მათ შორის დაზარალებული, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ან იურიდიული პირის უფლებამოსილებით აღჭურვილი, რომლებიც დაზარალებულის სტატუსით სარგებლობენ.

Concept and Classification of Subjects of Criminal Process. Procedural Functions

Mikheil Mamniashvili

Summary

Concept, classification of trial participants and their authority are given in the article, namely, status of prosecuting party: prosecutor, investigator, status of pleading party: accused person, lawyer, as well as status of participants of that trial, who assist justice to determine accusation of a person in a crime at high level of probability have been researched, status of each trial participant and their relationships arranged by law have been considered.